სასწავლო კურსის სილაბუსი

სასწავლო კურსის სახელწოდება	**ეკონომიკური ანალიზი** **Economic Analysis**
ავტორი	მერაბ ჯიქია
ლექტორი	მერაბ ჯიქია – ასოცირებული პროფესორი ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფაკულტეტი – ეკონომიკისა და ბიზნესის, კათედრა– ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი; თბილისი, უნივერსიტეტის ქ. #2, თსუ 10 კორპუსი. ოთახი 504, ტელ.230-45-14; 5-99-92-00-93; ელ. ფოსტა mereab.jikia@tsu.ge
სასწავლო კურსის კოდი	
სასწავლო კურსის სტატუსი	1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
	2. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა
	3. სავალდებულო კურსი მოდულისათვის-ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი
სასწავლო კურსის მიზნები	კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს: • ეკონომიკური ანალიზის მეთოდიკა და მათი ჩატარების ეტაპები კერძოდ, ეკონომიკურ მოვლენებზე მოქმედი ცალკეული ფაქტორების გავლენა, მათი რაოდენობრივი, თვისობრივი დახასიათება და მათ საფუძველზე მოვლენების განვითარების პროგნოზირება; • ოპტიმალური ფინანსური გადაწყვეტილების მიღების თანმიმდევრობა მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში.
კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (ECTS)	**კრედიტი** – 5 • საკონტაქტო მუშაობისათვის – 45 საათი, მათ შორის: კვირაში 1 საათი ლექცია, 2 საათი პრაქტიკული/სემინარი. • დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 80 საათი შუალედური გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო - 2 სთ; დასკვნითი (საბოლოო) გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო 3 სთ.
დაშვების წინაპირობები	აღნიშნულ კურსზე დაშვებისათვის სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს „შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში“
სწავლის შედეგები	**1. ცოდნა და გაცნობიერება:** კურსის შესწავლის შემდეგ სტუდენტს ეცოდინება: • ეკონომიკური ანალიზის ადგილისა და როლის გამოკვეთა წარმოების მართვის სისტემაში; • საწარმოს ეკონომიკური რესურსების ეფექტიანად გამოყენების, შიგა ფარული რეზერვების გამოვლენა– გაზომვისა და ამოქმედებისათვის ქმედითი ღონისძიებების განსაზღვრა. **2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:** • საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის შედეგებში მომხდარი ცვლილებების მიზეზების გამოკვლევა; • საწარმოს წინაშე არსებული პრობლემების ანალიზისა და

<table>
<tr><td></td><td>
საწარმოს ეკონომიკური მაჩვენებლების გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გამოცნობა და ადეკვატური ღონისძიებების შერჩევა.
3.დასკვნის უნარი

აბსტრაქტული აზროვნება,
სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დალაგება, ანალიზი და სინთეზი;
ორგანიზაციის ანალიზისათვის შესაბამისი ინსტრუმენტების გამორჩევა;
შედეგების ფორმულირება და დასკვნების გამოტანა;
ხელმძღვანელობისათვის სამოქმედო გეგმის შეთავაზება.

4.კომუნიკაციის უნარი

საქმიანი დოკუმენტების შედგენა ბიზნეს–ტერმინოლოგიის გამოყენებით;
რეფერატული სახის ნაშრომის მომზადება და მისი პრეზენტაცია;
საკითხის ჩამოყალიბება და მისი წარდგენა როგორც წერილობით, ასევე ზეპირად.

5.სწავლის უნარი

საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება;
სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურასთან დამოუკიდებლად მუშაობა;
ცოდნის განახლება და დამოუკიდებლად ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის ამაღლება.

6.ღირებულებები

ბიზნესის წარმართვასთან დაკავშირებული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა;
ეთიკური ნორმების დაცვა.

</td></tr>
<tr><td>სასწავლო კურსის შინაარსი</td><td>იხ. დანართი 1</td></tr>
<tr><td>სწავლების/სწავლის მეთოდები</td><td>სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გამოყენებულ იქნება: პრაქტიკული მეცადინეობა და ზეპირი გამოკითხვა, წერითი გამოცდა.</td></tr>
<tr><td>შეფასების კრიტერიუმები</td><td>
სტუდენტის ცოდნის შეფასება მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს:
<table>
<tr><td>ცოდნის შეფასების კრიტერიუმები</td><td>ქულა</td></tr>
<tr><td>პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტივობა</td><td>30</td></tr>
</table>
</td></tr>
</table>

შუალედური გამოცდა	30
დასკვნითი (საბოლოო) გამოცდა	40
საბოლოო შეფასება	100

1. სემინარულ–პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება და აქტივობა მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) აქტივობა სასემინარო მეცადინეობაზე – **10 ქულა.** სემინარი ჩატარდება სემესტრში 5–ჯერ. სასემინარო გამოსვლა ფასდება 2 ქულით.

გ) აქტივობა პრაქტიკულ მეცადინეობაზე – **20 ქულა.** პრაქტიკულ მეცადინეობებზე ხდება სავარჯიშო ამოცანების ამოხსნა. პრაქტიკულ მეცადინეობებზე სავარჯიშო ამოცანების ამოხსნა ფასდება 2 ქულით;

2. შუალედური გამოცდა –30 ქულა
შუალედური გამოცდა ტარდება წერითი ფორმით. გამოცდის ხანგრძლივობა განისაზღვრება 2 სთ–ით. წარმოდგენილი იქნება 4 ვარიანტი, მოცულობით: ორი თეორიული საკითხი 10 ქულა, თითო საკითხი ფასდება 5 ქულით (**4-5 ქულა:** პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა. **2-3 ქულა:** პასუხი სრულია, მაგარამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. **1 ქულა:** პასუხი ნაკლოვანია, ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. **0 ქულა:** პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული), 10 ტესტი (თითო ტესტი ფასდება 0.5 ქულით) და ამოცანები ფასდება ჯამში 15 ქულით (ამოცანები იქნება დიფერენცირებული).

დასკვნითი გამოცდაზე დაშვების წინაპირობა:
საბოლოო გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტმა უნდა მოაგროვოს მინიმუმ 11 ქულა. საბოლოო გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50%.

3. საბოლოო გამოცდა – 40 ქულა
გამოცდა ტარდება წერითი ფორმით. გამოცდის ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 სთ–ით. საგამოცდო მასალა შემოიფარგლება: ორი თეორიული საკითხი 10 ქულა, თითო საკითხი ფასდება 5 ქულით (**4-5 ქულა:** პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა. **2-3 ქულა:** პასუხი სრულია, მაგარამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი

ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. **1 ქულა:** პასუხი ნაკლოვანია, ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. **0 ქულა:** პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული), 10 ტესტი (თითო ტესტი ფასდება 1 ქულით) და ამოცანები ფასდება ჯამში 20 ქულით (ამოცანები იქნება დიფერენცირებული).

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით. 100 ქულა არის მაქსიმალური შეფასება. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100–დან 51 ქულის დაგროვება. შეფასების ამ სისტემაში ქულების განაწილების სქემა ასეთია:

საბოლოო შეფასება

ქულები	შეფასება	
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

FX–შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე; საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. F – შეფასების შემთხვევაში, სტუდენტმა განმეორებით უნდა გაიაროს კრედიტი.

ძირითადი ლიტერატურა

1. მ.ჯიქია - ეკონომიკური ანალიზი. სახელმძღვანელო, თბილისი, 2018 წ. გვ. 341

	2. მ. ჯიქია - სავარჯიშოების კრებული ეკონომიკურ ანალიზში. ხელნაწერიის უფლებით 2018 წ. 80 გვ. აღნიშნული ლიტერატურის მოძიება შესაძლებელია თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში.
დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა	1. ფ. ბურდული. ეკონომიკური ანალიზის აქტუალური საკითხები. სახელმძღვანელო. თბილისი, 2000. გვ.345 2. ე. ცირამუა. ეკონომიკური ანალიზი . სახელმძღვანელო. თბილისი, 2007.გვ.256 3. ი, ჭილაძე. ფინანსური ანალიზი. სახელმძღვანელო. თბ., 2011.გვ.230 4. მ. ჯიქია ფინანსური ანალიზი, სახელმძღვანელო. თბ. 2011.გვ.283 5. ვ. ზურაბიშვილი. საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი, სახელმძღვანელო თბილისი. 1999 გვ.245 **ჟურნალები** 1. ეკონომიკა და ბიზნესი (თსუ სამეცნიერო ნაშრომთა კრებული); 2. ბუღალტრული აღრიცხვა; 3. ახალგაზრდა ეკონომისტი; 4. საქართველოს ეკონომიკა;
დამატებითი ინფორმაცია/პირობები	სტუდენტის ინდივიდუალურ ყოველკვირეულ საკრედიტო განრიგს /სადაც სემესტრის განმავლობაში მოპოვებული ქულების რაოდენობა იქნება დაფიქსირებული/აწარმოებს ლექტორი სტუდენტებთან კონსულტაციები გაიმართება ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებული ცხრილის მიხედვით.

დანართი 1

სასწავლო კურსის შინაარსი

N	**თემა (ლექცია/სამუშაო ჯგუფი/პრაქტიკული, ლაბორატორიული სამუშაო და ა.შ.)**	**სასწავლო მასალა**
1	**თემა 1. ეკონომიკური ანალიზის არსი, კვლევის საგანი და ამოცანები** • ეკონომიკური ანალიზის არსი და როლი სამეურნეო საქმიანობაში; • ეკონომიკური ანალიზის საგანი და კვლევის ობიექტები; • ეკონომიკური ანალიზის კვლევის ობიექტები.	1. მ. ჯიქია – ეკონომიკური ანალიზი. სახელმძღვანელო, თბ 2018 წ. გვ. 5-15

	წარმოების „ფარული რეზერვების“ ცნება და კლასიფიკაცია. ეკონომიკური ანალიზის როლი რეზერვების გამოვლენაში; • ეკონომიკური ანალიზის პრინციპები და ჩატარების ეტაპები; • ეკონომიკური ანალიზის ძირითადი ამოცანები; • ეკონომიკური ანალიზის მეცნიერული საფუძვლები. **სემინარი თემაზე:** ეკონომიკური ანალიზის როლი ბიზნესის მართვაში	
2	**თემა 2. ეკონომიკური ანალიზის კლასიფიკაცია, ორგანიზაცია და ინფორმაციული უზრუნველყოფა** • ეკონომიკური ანალიზის სახეობები და მათი კლასიფიკაცია; • ეკონომიკური ანალიზის ორგანიზაცია; • ეკონომიკური ანალიზის ინფორმაციული უზრუნველყოფა. **სემინარი თემაზე:** ეკონომიკური ანალიზის ორგანიზაციისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემები	1. მ. ჯიქია – ეკონომიკური ანალიზი. სახელმძღვანელო, თბ., 2018 წ. გვ. 16-25
3	**თემა 3 ეკონომიკური ანალიზის მეთოდი და მეთოდიკა** • ეკონომიკური ანალიზის მეთოდი და მისი დამახასიათებელი თვისებები; • ეკონომიკური ანალიზის მეთოდიკა; • ფაქტორული ანალიზის მეთოდიკა; • ფაქტორების კლასიფიკაცია ეკონომიკურ ანალიზში; • ფაქტორების სიტემატიზაცია ეკონომიკურ ანალიზში; • დეტერმინირებული ფაქტორული ანალიზისას ურთიერთკავშირის მოდელირება; **პრაქტიკული მეცადინეობა**	1. მ. ჯიქია – ეკონომიკური ანალიზი. სახელმძღვანელო, თბ., 2018 წ. გვ. 26-38 2. მ. ჯიქია - სავარჯიშოების კრებული ეკონომიკურ ანალიზში. ხელნაწერიის უფლებით 2018 წ.
4	**თემა 4. ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების წესები და ფაქტორთა გავლენის გაზომვის ხერხები ეკონომიკურ ანალიზში** • ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების	1. მ. ჯიქია – ეკონომიკური ანალიზი. სახელმძღვანელო, თბ, 2018 წ. გვ. 39-56 2. მ. ჯიქია - სავარჯიშოების

	წესები ანალიზში; • ფაქტორთა გავლენის გაზომვის ხერხები ეკონომიკურ ანალიზში; **პრაქტიკული მეცადინეობა**	კრებული ეკონომიკურ ანალიზში. ხელნაწერიის უფლებით 2018 წ.
5	**თემა 5 - პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ანალიზი** • პროდუქციის წარმოების მოცულობის მაჩვენებლთა სისტემა; • პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ანალიზის ამოცანები და ინფორმაციული წყაროები; • პროდუქციის წარმოების მოცულობისა და ასორტიმენტის ანალიზი • პროდუქციის სტრუტქურის ანალიზი; • პროდუქციის ხარისხიანობის ანალიზი; • წარმოების რიტმულობის ანალიზი; • პროდუქციის რეალიზაციის ანალიზი. **პრაქტიკული მეცადინეობა**	1. მ.ჯიქია – ეკონომიკური ანალიზი. სახელმძღვანელო, თბ, 2018 წ. გვ. 57-77 2. მ. ჯიქია - სავარჯიშოების კრებული ეკონომიკურ ანალიზში. ხელნაწერიის უფლებით 2018 წ.
6-7	**თემა 6- მატერიალური რესურსების გამოყენების ანალიზი** • ანალიზის ამოცანები და ინფორმაციული წყაროები; • მატერიალურ–ტექნიკური მომარაგებისა და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის გეგმის შესრულების ანალიზი; • მატერიალური მარაგების აუცილებლობა და მასთან დაკავშირებული დანახარჯები; • მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ანალიზი. **პრაქტიკული მეცადინეობა**	1. მ. ჯიქია – ეკონომიკური ანალიზი. სახელმძღვანელო, თბ, 2018 წ. გვ. 78-94 2. მ. ჯიქია - სავარჯიშოების კრებული ეკონომიკურ ანალიზში. ხელნაწერიის უფლებით 2018 წ.
8	**შემაჯამებელი ლექცია-სემინარი**	
9-10	**თემა 7. ძირითადი საშუალებების გამოყენების ანალიზი** • ძირითადი საშუალებების გამოყენების ანალიზის ამოცანები და ინფორმაციული წყაროები; • ძირითადი საშუალებების ტექნიკური დონის ანალიზი; • ძირითადი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ანალიზი (პირველი, მე–2 და მე–3 დონის ფაქტორთა გავლენის ანალიზი); • საწარმოო სიმძლავირის გამოყენების ანალიზი. **პრაქტიკული მეცადინეობა**	1. მ. ჯიქია – ეკონომიკური ანალიზი. სახელმძღვანელო, თბ., 2018 წ. გვ. 95-115 2. მ. ჯიქია - სავარჯიშოების კრებული ეკონომიკურ ანალიზში. ხელნაწერიის უფლებით 2018 წ.
	თემა 8. შრომითი რესურსების გამოყენების	1. მ. ჯიქია – ეკონომიკური

11	**ანალიზი** • შრომითი რესურსების გამოყენების ანალიზის ამოცანები და ინფორმაციული წყაროები; • საწარმოს შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის ანალიზი; • სამუშაო დროის გამოყენების ანალიზი; • შრომის მწარმოებლურობის ანალიზი; • პროდუქციის შრომატევადობის ანალიზი; • ხელფასის ფონდის ანალიზი. **პრაქტიკული მეცადინეობა**	ანალიზი. სახელმძღვანელო, თბ., 2018 წ. გვ. 116-147 2. მ. ჯიქია - სავარჯიშოების კრებული ეკონომიკურ ანალიზში. ხელნაწერიის უფლებით 2018 წ.
12	**თემა 9. წარმოების დანახარჯებისა და პროდუქციის თვითღირებულების ანალიზი** • წარმოების დანახარჯების ცნება და მათი კლასიფიკაცია; • თვითღირებულების ანალიზის ამოცანები და ინფორმაციული წყაროები; • სასაქონლო პროდუქციის წარმოების დანახარჯების ანალიზი; • ერთი ლარის რეალიზებულ პროდუქციაზე დანახარჯების ანალიზი; • შესადარი პროდუქციის თვითღირებულების ანალიზი; • ცალკეულ სახეობათა პროდუქციის თვითღირებულების ანალიზი; • პირდაპირი შრომითი დანახარჯების ანალიზი; • საწარმოო ზედნადები ხარჯების ანალიზი. **პრაქტიკული მეცადინეობა**	1. მ. ჯიქია – ეკონომიკური ანალიზი. სახელმძღვანელო, თბ, 2018 წ. გვ. 148-181 2. მ. ჯიქია - სავარჯიშოების კრებული ეკონომიკურ ანალიზში. ხელნაწერიის უფლებით 2018 წ.
13	**თემა 10. ფინანსური შედეგების ანალიზი** **ლექცია 1 სთ. პრაქტიკული 2 სთ.** • ფინანსური შედეგების ანალიზის ამოცანები და ინფორმაციული წყაროები; • მოგების სიდიდის განმსაზღვრელი ეკონომიკური ფაქტორები; • მოგების ფაქტორული ანალიზი; • რენტაბელობის ანალიზი. **პრაქტიკული მეცადინეობა**	1. მ. ჯიქია, – ეკონომიკური ანალიზი. სახელმძღვანელო, თბ., 2018 წ. გვ. 182-217 2. მ. ჯიქია - სავარჯიშოების კრებული ეკონომიკურ ანალიზში. ხელნაწერიის უფლებით 2018 წ.
14	**თემა 11.– ფინანსური მდგომარეობის ანალიზი** **ლექცია 1 სთ. პრაქტიკული 2 სთ.** • ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ამოცანები და ინფორმაციული წყაროები; • ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურის ანალიზი; • საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება; • საწარმოს ლიკვიდურობისა და	1. მ. ჯიქია, – ეკონომიკური ანალიზი. სახელმძღვანელო, თბ., 2018 წ. გვ. 218-281 2. მ. ჯიქია - სავარჯიშოების კრებული ეკონომიკურ ანალიზში. ხელნაწერიის უფლებით 2018 წ.

	გადახდისუნარიანობის შეფასება და ანალიზი; • ფულადი საშუალებების მოძრაობის შეფასება და ანალიზი; • საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის მაჩვენებლების შეფასება და ანალიზი; • საწარმოს საქმიანი აქტიურობის შეფასება და ანალიზი; • საწარმოო–ფინანსური ლევერიჯის შეფასება და ანალიზი. **პრაქტიკული მეცადინეობა**.	
15	**თემა 11– ფინანსური მდგომარეობის ანალიზი** **ლექცია 1 სთ. პრაქტიკული 2 სთ.** • ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ამოცანები და ინფორმაციული წყაროები; • ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურის ანალიზი; • საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება; • საწარმოს ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის შეფასება და ანალიზი; • ფულადი საშუალებების მოძრაობის შეფასება და ანალიზი; • საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის მაჩვენებლების შეფასება და ანალიზი; • საწარმოს საქმიანი აქტიურობის შეფასება და ანალიზი; • საწარმოო–ფინანსური ლევერიჯის შეფასება და ანალიზი. **პრაქტიკული მეცადინეობა**	1. მ. ჯიქია, – ეკონომიკური ანალიზი. სახელმძღვანელო, თბ., 2018 წ. გვ. 218-281 2. მ. ჯიქია - სავარჯიშოების კრებული ეკონომიკურ ანალიზში. ხელნაწერიის უფლებით 2018 წ.

შენიშვნა: შუალედური გამოცდები ჩატარდება მე-8 და მე-9 კალენდარულ კვირაში.